საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნაფეტარაძე გიორგი გრიგოლის-ძე — ავიაციის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 26 კომისრის რაიონული კომბატტისაგან,

გრიშენკო ივანე სიმონის-ძე — მე-9 საგზაო მექანიკური ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

სმოტროვა ელენე მიხეილის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

უნიკიანი ამოტ ჰაიკის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის მე-3 სავაგონო უბნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

მელაძე ვერა ალსანინის ასული — რკინიგზის მე-6 საბავშო ბაღის პედაგოგების, აღმზრდელებისა და მოსამსახურეებისაგან,

იაკოშვილი აიდა ვახტანგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის მაკარონის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მიქიოლინის საარჩევნო ოლქი № 52

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მირიფაკაშვილი** მიხეილ ელადიმერის-ძე — თბილისის მიქიოლინის სახელობის ხორცკომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ბუგაირი** პროკოფეი ნესტორის-ძე — თბილისის მაკარონის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ბუმბერიძე** ქეთევან ფედოტის ასული —დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ვაჟთა 42-ე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

კუჭმანა მარიამ ვასილის ასული — თბილისის წისქვილკომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

ხაჩატურიანი აზიზ სარქისის ასული — თბილისის მარგარინის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

სულაქველიძე ლეილა სამსონის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზოოკოლადის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან,

ხომერიკი ივანე იოსების-ძე — თბილისის № 2 პურის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

ესაიბეკიანი ვართან სარქისის-ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მე-19 პოლიკლინიკის ორგანიზაციისაგან,

ჯლოტნიკოვი გიგორ ნიკოლოზის-ძე — არმის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 26 კომისრის რაიონული კომბატტისაგან.

ნავთლუღის საარჩევნო ოლქი № 53

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ბუფალოშვილი** კონსტანტინე დიმიტრის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ბუკასიანი** ეკატერინე ტიგრანის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა 33-ე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **მატათაშვილი** ნინო გიორგის ასული — ქალთა 26-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მშვდლიძე თინა სიმონის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ვაჟთა 38-ე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან,

აბრამაშვილი ელენე ალექსის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან,

კეიტაშვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — მე-7 პოლიკლინიკის ექიმებისა და მოსამსახურეებისაგან,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(დასასრული)

ჭავჭანიძე ვიქტორ მიხეილის-ძე — № 15 სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგების, ოსტატებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან,

ბაკურაძე იური მიხეილის-ძე — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონული კომიტეტისაგან,

სარქისიანი ზაინე მელქონ-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ვაკეთ 28-ე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან.

დიმიტროვის საარჩევნო ოლქი № 54

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ჯანტურია** აბესალომ ანდრიასი-ძე — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სამარა** ალექსანდრე მიხეილის-ძე — თბილისის ქალაქული ფაბრიკის მუშებისა ინენერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **ფლბერიშვილი** ვერონიკა ალექსანდრეს ასული — 21-ე პოლიკლინიკის ექიმებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ლიპარტელიანი რაფაელ იასონის-ძე.

ტატარენკო თევდორე დემიდოვ-ძე — სარემონტო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

კაკაშაძე ფატი ერმოლოზის ასული — თბილისის ქალალდის ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

ზაქარიანი ვალენტინა თევდორეს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა 41-ე საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან,

ხითაროვი ვიორგი ბოგდანის-ძე — მშენებლობა „ხრამჰესმშენის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

ფეშმიალეკიანი ანაიდა ართინის ასული — მე-7 სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონი

ავჭალის საარჩევნო ოლქი № 55

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მირიანაშვილი** ილია ვლადიმერის-ძე — ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სახარულიძე** ისე მიხეილის-ძე — ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **სამსონია** ივანე კონსტანტინეს-ძე — ავჭალის საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიმინოშვილი თამარ ვასილის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ავჭალის შუშის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან,

ვარდანაშვილი ნინო მიხეილის ასული — სოფელ გლდანის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

თალაკაძე ოლოა ისიდორეს ასული — დიდი ლიღოს საავადმყოფოს ექიმების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან,

გოგიძე მარიამ სოლომონის ასული — სოფელ გლდანის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

ივანენკო ივანე იაკობის-ძე — არმის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების გარეუბნის რაიონული კომიტეტისაგან,

შავერდაშვილი გრიგორ თეოფანეს-ძე — არმის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოფელ დიდი ლიღოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მარტყოფის საარჩევნო ოლქი № 56

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **კორახაშვილი** აარონ ივანეს-ძე — ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ფალავანდიშვილი** ალექსანდრე ნესტორის-ძე — არმის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების მარტყოფის სასოფლო საბჭოს აღასაკომის პირველადი ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **გოგანოშვილი** ნინო იოსების ასული — სოფელ მარტყოფის ტერატორიული პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბეგიანაშვილი ირა ივანეს-ძე — „ხრამგარეჰესმშენის“ მეორე სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

ბერეულაშვილი მიხეილ ესტატეს-ძე — მარტყოფის მტს-ის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

ბადრიაძე ოთარ ალექსანდრეს-ძე.

სარდლიშვილი ბარბარე ვასილის ასული — სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

ყახაბრიშვილი თამარ გიორგის ასული — სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

შიშიაშვილი იულია ლონგინოზის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ნორიოს საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან.

დიდგის საარჩევნო ოლქი № 57

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბოკორაშვილი** გრიგორ გიორგის-ძე — პოლიტიკაგანმანათლებლო დაწყებულებათა მუშაკების პროფკავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გაბისონია** ლეონტი დიანოზის-ძე — არმის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების შრომელთა დეპუტატების დიდმის სასოფლო საბჭოს აღასაკომის პირველადი ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **სონეფულაშვილი** ვახტანგ იაკობის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიცელაშვილი გიორგი დემიტრის-ძე — სოფელ დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

ლელეაშვილი ეკატერინე დავითის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების სოფელ ლისის კუთაბშვილის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან,

კოკანაძე ბაბილინა ვასილის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის ორგანიზაციისაგან,

ოქიტაშვილი მარიამ ალექსის ასული — სოფელ წაწყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

გენეზაშვილი არსენ ალექსანდრეს-ძე — სოფელ დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან,

ბელაშვილი ბაბილინა პავლეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დიდმის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კოჯორის საარჩევნო ოლქი № 58

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გოლოგობინა** ელადიმერ ლეონიდის-ძე — საქართველოს ქ. ჯ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონის ამპარტის მუშაკთა პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სიხარულიძე** ალექსანდრა იასონის-ძე — არმის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების შრომელთა დეპუტატების კოჯორის სასოფლო საბჭოს აღასაკომის პირველადი ორგანიზაციისაგან,

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **კაკბაძიე** გიორგი ფილიპეს-ძე — კოჯორის ტერატორიის ექიმების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ასლანაშვილი თამარ სარქისის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ტბამაშელის ბიოკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან,

ლაგიდეკა მაიგარიტა ალექსის ასული — თელეფონის მტს-ის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან,

კორეფოშვილი გიორგი გიორგის-ძე — სოფელ სოლინფოლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან,

დევრიხაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის კოჯორის სეზონალი სკოლის ორგანიზაციისაგან,

ხურმაძე რევაზ დიმიტრის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების შრომელთა დეპუტატების კოჯორის სასოფლო საბჭოს აღასაკომის პირველადი ორგანიზაციისაგან,

ბაბაშვილი ეთერ პავლეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ტბამაშელის 8-წლიანი სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

სტალინს უმღერიან

დღეს ვბეჭდავთ უკრაინელი პოეტის მაკსიმ რილსკის, მოლდაველი პოეტის ლეონიდ კორნიანუს და უნგრელი პოეტის რეტშეკ არპადის ლექსებს, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

★ ★ ★

მაქსიმ რილსკი

სიმღერა სტალინზე

ცამდე აზიდულ მთებიდან
ლადი არწივი ფრინდა,
მძლავრად გაშალა ფრთები და
შავი ღრუბელი დაფფინთა.
გაგეზარდა, ფრთას გასწორალის
მისი უკვდავი სიმართლე,
როგორც შეეტრა ვარსკვლავი,
ბელადი გზა-კვალს გვიჩვენებს.
ეფორო გაბრწყინდა ყველი,
ვარსკვლავივე ფერო კაშკაშებს,
ნება და სიბრძნე სტალინის
გვაობობს სტალინურ ეფეკაცებს.

წყალი მორჩილი გამხდარა,
ყინნის ბარაჯა ეღორსა,
ყველგან გეფეხებს ქარხანა
განახლებული ქვეყანისა.
წინს

კორეის ამბები

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 დეკემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 26 დეკემბერს გამოაცხადა:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევას და სერიოზულ დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს.

უკანასკნელ დროს მოწინააღმდეგის ზურგში ვრცელ ტერიტორიებზე მოქმედი პარტიზანული რაზმები თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებსა და კომუნიკაციებს.

იაპონელები მონაწილეობას იღებენ კორეის ომში

შანხაი, 26 დეკემბერი. (საქდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობით, ამას წინათ ერთმა იაპონელმა მატროსმა კორეის ნავსადგურ ვონსანიდან, რომელიც ამერიკელთა დროებითს ოკუპაციაში იმყოფებოდა, გამოგზავნა წერილი, სადაც წერდა, რომ ამ ნავსადგურში იყო 6 სანაღმო ტრალერი, რომლებიც იაპონიის საზღვაო დაცვის სამმართველოს ეკუთვნიან. მათ აქვთ ამერიკული გამოსაცნობი ნიშნები და შეღებილი არიან იმავე ფერით, როგორითაც ამერიკის სამხედრო ხომალდები.

წერილში აღნიშნულია, რომ კორეაში სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში მოქმედებს ბევრი იაპონელი. ყველა ისინი ჩაცმული და შეიარაღებული არიან, როგორც ამერიკელები, და გარეგნულად გვანან იაპონური წარმოშობის ამერიკელებს, მაგრამ ლაპარაკზე ადვილად ეტყობათ, რომ იაპონიიდან ჩამოვიდნენ.

ამერიკელ ინტერვენტთა ბოროტმოქმედება კორეაში

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი „სეულის ჩრდილოეთით" მდებარე ფრონტის ხაზიდან იუწყება, რომ ამერიკელთა ჯარების მიერ დანაღმულ მინდვრებში მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები იღუპება.

მაგალითად, ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა თქვა: „გუშინ დანაღმულ მინდორს მიუახლოვდა მოხუცი, რომელსაც ხარი მოჰყავდა. იგი დანაღმულ მინდორზე შემოვიდა და იქვე მოკლულ იქნა ნაღმით. ნაღმის ნამსხვრევებით დაიჭრა მისი ცოლი, რომელსაც ზურგზე ბავშვი ეკიდა. ბავშვს ნაღმის ნამსხვრევმა თავი გაუხვრიტა".

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სხვა კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკელი ჯარისკაცები „არტილერიის უფრო მარჯვე სროლისათვის" საძირკვლამდე ანგრევენ ბევრი მშვიდობიანი მცხოვრების სახლებს და ამისათვის ბულდოზერებს იყენებენ. მცხოვრებთ წინასწარ არ აფრთხილებენ და ისინი ძლივს ასწრებენ ცოტაოდენა სურსათის გადარჩენას.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის წერილი ჩინეთის დემოკრატიული პარტიებისადმი

პეკინი, 25 დეკემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტო ამოწმებს კორეის ცენტრალურ დეპეშათა სააგენტოს და იუწყება, რომ კორეის პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ერთიან დემოკრატიულ სამამულო ფრონტში შედიან, ჩინეთის დემოკრატიულ პარტიებს გაუგზავნეს წერილი, სადაც მიესალმებიან ჩინელი სახალხო მოხალისეების მოქმედებას, რომლებიც ბრძოლას ეწევიან ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, დახმარებას უწევენ კორეას და იცავენ თავიანთ სამშობლოს.

წერილში ნათქვამია:

ჩინეთის კომუნისტური პარტიის, გომინდანის რევოლუციური კომიტეტის, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის, ეროვნული რეკონსტრუქციის დემოკრატიული ასოციაციის, დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის, მუშურ-გლეხური დემოკრატიული პარტიის, პარტია „ძიგუნის", საზოგადოება „ძიუსანის", ტაივანის თვითმმართველობის დემოკრატიული ლიგის, ახალგაზრდობის ახალი-დემოკრატიული კავშირის ძვირფასო ლიდერებო და წევრებო და უპარტიო დემოკრატებო — სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრებო!

ჩინეთის სხვადასხვა დემოკრატიული პარტიების ერთობლივმა განცხადებამ, რომელიც 4 ნოემბერს გამოქვეყნდა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღების, კორეელი ხალხისათვის დახმარების გაწევისა და სახალხო მოხალისეთა რაზმების შექმნით თავიანთი სამშობლოს დაცვის შესახებ ჩინელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნის მხარდასაჭერად, გამოიწვია ფართო გამოხმაურება და დიდი მადლობა კორეელი ხალხისა, რომელიც ამჟამად თავდადებულ ბრძოლას ეწევა ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ და იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მამაცი ჩინელი სახალხო მოხალისენი ამჟამად კორეის ფრონტებზე იბრძვიან კორეის სახალხო არმიის მხარდამხარ კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელობით. კორეელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისათვის ჩინელი ხალხის მიერ ამ მხარდაჭერამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო კორეასა და ჩინეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

წერილში აღნიშნულია, რომ ჩინელი მოხალისეების ჩასვლამ გამამხნევებლად იმოქმედა კორეელ ხალხზე. უფრო განმტკიცდა ჩინელი და კორეელი ხალხების მეგობრობა...

წერილი ასე მთავრდება:

მტერზე საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლის მსვლელობაში მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ ბრძოლას.

ჩინელი ხალხი მხარს უჭერს ჯოუ ენ-ლაის განცხადებას

პეკინი, 26 დეკემბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მთელი ჩინეთის მოსახლეობა მტკიცედ უჭერს მხარს საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადებას ეგრეთწოდებული „კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე სამთა კომისიის" შექმნის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების გამო.

ჩინელი ხალხი გამოთქვამს მისწრაფებას უფრო ფართოდ გააჩაღოს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობა.

განცხადებაში, რომელიც პეკინის მრეწველებისა და ვაჭრების ასოციაციის მოსამზადებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა, გამოთქმულია სრული მხარდაჭერა ჯოუ ენ-ლაის განცხადებისადმი.

შიდა მონღოლეთის სხვადასხვა ეროვნების 2.400 ათასი წარმომადგენლის სახელით შიდამა ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომლითაც ისინი გმობენ წინადადებას „ცეცხლის შეწყვეტის" შესახებ და მტკიცედ უჭერენ მხარს საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადებას.

ცინდაოს სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამერიკელი იმპერიალისტების ახალი ხრიკი სავსებით ააშკარავებს მათს ნამდვილ სახეს და რომ ჩინელი ხალხი შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის იბრძოლებს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობის უფრო ფართოდ გაჩაღებისა და კორეისათვის დახმარების გაწევის გზით.

ასეთსავე განცხადებებს აქვეყნებს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სხვადასხვა ქალაქის მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ვიეტნამის სახალხო არმიის წარმატებანი

პარიზი, 27 დეკემბერი. (საქდესი). გაზეთმა „სე სუარმა" გამოაქვეყნა საიგონიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ვიეტნამის სახალხო არმიამ გუშინ დილით იერიში მიიტანა ტიენ-იენსა და მონ-კეის შუა მდებარე გამაგრებულ პუნქტ ბინლზე და რომ ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილები ძლიერ აწვებიან საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის ჯარებს 64 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის

ბულგარეთის საყოველთაო მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭოს დეკლარაცია

სოფია, 27 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ბულგარეთის რადიო იუწყება, ბულგარეთის საყოველთაო მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც მიესალმება და სავსებით იწონებს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებს.

კორეაში ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსული ბოროტმოქმედებით დიდად აღშფოთებული ბულგარელი მუშები და მოსამსახურეები,— ნათქვამია დეკლარაციაში, — მხარს უჭერენ მოძრაობას კორეიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისათვის, ატომური ბომბისა და მასობრივი მოსპობის ყველა საშუალების უთუო აკრძალვისათვის. ბულგარეთის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ხალხთა მტკიცე ნებითა და მისწრაფებით — ჩაშალონ იმპერიალისტთა სისხლიანი გეგმები, გაარკვეცებენ თავიანთ ღონისძიებებს, რათა საქმით განახორციელონ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის რეზოლუცია და მშვიდობის მსოფლიო ბანაკთან ერთად იბრძოლონ ომის გამჩაღებელთა გეგმების ჩაშლისათვის.

ბულგარელი მუშები დაუღალავად იბრძოლებენ აგრესიული ომის ყოველგვარი წაქეზებისა და პროპაგანდის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ხალხთა საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ.

მძლავრ საბჭოთა კავშირთან გულწრფელი და ურღვევი მეგობრობით აღფრთოვანებული ბულგარეთის მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც აღაფრთოვანებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშე, დიდი სტალინი, მშრომელ გლეხობასთან ძმური კავშირით იმუშავებენ თავიანთ ქვეყნებში სოციალიზმის ასაშენებლად და ხელს შეუწყობენ მშვიდობის საქმის გამარჯვებასა და საერთაშორისო უშიშროების დამყარებას.

ბულგარეთის სახალხო კრებაში

ფინანსთა მინისტრის მოხსენება 1951 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ

სოფია, 27 დეკემბერი. (საქდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების სხდომაზე მოხსენება რესპუბლიკის 1951 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა კირილე ლაზაროვმა.

1951 წლის ბიუჯეტი, — თქვა ლაზაროვმა, —შედგენილია 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარება.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაგეგმილია 271,7 მილიარდი ლევის რაოდენობით, გასავლის ნაწილი—267,9 მილიარდი ლევის რაოდენობით.

გასავლის ძირითად ნაწილს შეადგენს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება. 1950 წელთან შედარებით ეს ასიგნებანი 34,7 პროცენტით გადიდდება.

1951 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს კრედიტებს სახალხო თავდაცვის სამინისტროსათვის 20,6 მილიარდი ლევის რაოდენობით, რაც ბიუჯეტის 7,7 პროცენტს შეადგენს.

კაპიტალური მშენებლობისათვის 1951 წელს გადადებულია 78,3 მილიარდი ლევი.

გათვალისწინებულია მომავალ წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 92 მილიარდი ლევის ღირებულების სამრეწველო ობიექტები.

გათვალისწინებულია ასიგნებათა გადიდება სოფლის მეურნეობისათვის. ეს ასიგნებანი შეადგენენ 23,5 მილიარდ ლევს, ესე იგი 4,8 მილიარდი ლევით სჭარბობენ 1950 წლის ასიგნებებს.

აგრარული რეფორმა ჩინეთში

პეკინი, 27 დეკემბერი. (საქდესი) როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანჯოუდან იუწყება, ამას წინათ ჯეძიანის პროვინციის სამი მაზრის გლეხებმა იდღესასწაულეს თავიანთ რაიონებში აგრარული რეფორმის წარმატებით დამთავრება. ამის გამო გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო ათიათასობით გლეხმა.

ფინხუას მაზრაში გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს ცენტრალურ სახალხო მთავრობას მათთვის მიწების მიცემისათვის და პირობა დადეს გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. დღესასწაულის ბოლოს კოცონებზე დაწვეს დოკუმენტები, რომლებიც წინათ ადასტურებდნენ მემამულეთა მიერ მიწების მფლობელობის უფლებას. წარსულთან უკანასკნელი კავშირის ამ სიმბოლურ მოსპობას გლეხები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სამრეწველო კადრების მომზადება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 27 დეკემბერი. (საქდესი). ახალი ქარხნები, ფაბრიკები და მშენებლობანი, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით იქმნება უნგრეთში, და უკვე არსებულ საწარმოთა გაფართოება ახალ სამრეწველო კადრებს მოითხოვენ. მარტო შარშან იმ მუშათა რაოდენობა, რომლებიც უნგრეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობენ, 250 ათასი კაცით გადიდდა.

მუშახელის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სახალხო ხელისუფლება უნგრეთში ახალ კადრებს ამზადებს მრეწველობისათვის, საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ ახალგაზრდა მუშებს ასწავლიან სოციალისტური მსხვილი მრეწველობის საწარმოებში.

წელს სამრეწველო სასწავლებლების, სასწავლო სახელოსნოებისა და სამრეწველო სკოლების საჭიროებისათვის სახელმწიფომ 90 მილიონზე მეტი ფორინტი გადადო. გადაწყვეტილია მომავალ წელს ამ მიზნებისათვის დაიხარჯოს 277 მილიონი ფორინტი.

1951 წელს უნგრეთის სოციალისტურ მრეწველობაში პროფესიულ მომზადებას მიიღებს 55 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი.

უნგრელი მშენებლები სწავლობენ შრომის სტახანოვურ მეთოდებს

ბუდაპეშტი, 26 დეკემბერი. (საქდესი). უნგრეთიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა სტახანოველი მშენებლების დელეგაცია, რომლებმაც კედლის აყვანის ჩქაროსნული მეთოდის გამოცდილება გადასცეს უნგრელ კალატოზებს. 40 უნგრელი კალატოზი უკვე შრომის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორი გახდა. ქალაქ ვეჩეშში სამმა საბჭოთა და ექვსმა უნგრელმა კალატოზმა კედლის აყვანის დღიური ნორმა 620 პროცენტით შეასრულა.

საბჭოთა სტახანოველებისაგან გადაღებულმა მეთოდებმა უნგრელ მშენებლებს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვნად გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება. საბჭოთა სტახანოველების საუკეთესო მიმდევრები ნორმას 5-7-ჯერ გადაჭარბებით ასრულებენ.

საპყრობილეში ჩასვეს თურქი პროგრესისტი ჟურნალისტი

პრაღა, 27 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს სოფიელი კორესპონდენტი იუწყება, სტამბოლში გამომავალმა გაზეთმა „ვათანმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჟურნალისტ ასიმ ბესერჯიოღლუს, რომელიც გაზეთ „გერჩეკში" თანამშრომლობს, ბრალად დასდეს „კომუნისტური პროპაგანდის" გავრცელება და საპყრობილეში ჩასვეს. თვით გაზეთი „გერჩეკი" უკვე მთელი კვირაა არ გამოდის და, როგორც ფიქრობენ, იგი აკრძალა თურქეთის მთავრობამ.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გაზეთი მოითხოვდა: თურქეთის მთავრობას შეეწყვიტა ამერიკის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის მხარდაჭერა, აკრიტიკებდა თურქეთის ჯარების გაგზავნას კორეაში და აგრეთვე განუწყვეტლივ ასახავდა თავის ფურცლებზე თურქი ხალხის ტანჯვასა და სილატაკეს.

თბილისში ჩამოვიდა უნგრელ მწერალთა დელეგაცია

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა უნგრელ ლიტერატორთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების და კულტების მინისტრი მწერალი იოჟეფ დარვაში.

უნგრელ მწერლებს შეხვდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ოთარ ჩხეიძე, გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქტორი გიორგი ნატროშვილი, მწერლები გრიგოლ აბაშიძე, მიხეილ მრევლიშვილი და სხვები.

დელეგაცია საქართველოში დარჩება რამდენიმე დღეს. (საქდესი).

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება საქართველოს გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავად იწვევს XXVIII სამეცნიერო სესიას.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი 25 წლის მანძილზე (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ჯანელიძე); საქართველოს ჰიდროთერმულ წარმონაქმნთა მინერალოგიის ზოგიერთი საკითხი (მომხსენებელი პროფესორი გ. გვახარია); საქართველოს მაგმური ქანების პეტროგრაფიის მდგომარეობა და ამოცანები (მომხსენებელი პროფესორი გ. ზარიძე); საქართველოს დანალექ წარმონაქმნთა ლითოლოგიის ამოცანები (მომხსენებელი პროფესორი გ. ძოწენიძე); სტრატიგრაფიული პალეონტოლოგიის მიღწევები საქართველოში (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ი. კაჭარავა); საქართველოს იურული ნალექების სტრატიგრაფიის მდგომარეობა და ამოცანები (მომხსენებელი პროფესორი ი. კახაძე); საქართველოს ცარცული ნალექების სტრატიგრაფიის მდგომარეობა და ამოცანები (მომხსენებლები დოცენტი ა. ცაგარელი და მეცნიერებათა დოქტორი მ. ერისთავი); საქართველოს ტერიტორიაზე არტეზიული აუზების გავრცელების შესახებ (მომხსენებელი მეცნიერებათა დოქტორი ი. ბუაჩიძე); კანონზომიერებანი საქართველოს მინერალური წყლების გავრცელებაში (მომხსენებელი დოცენტი ს. ჩიხელიძე); მუხრან — ტირიფონის ველის გეოტექტონიკური ბუნება (მომხსენებელი პროფესორი პ. გამყრელიძე); საქართველოს ტერიტორია ალპური ოროგენის სისტემაში (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ჯანელიძე).

სესია გაიხსნება 28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) და გასტანს სამ დღეს.

კინონარკვევი „საქართველოს ბუნების ძეგლები და ნაკრძალები"

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ გამოუშვა ახალი კინონარკვევი „საქართველოს ბუნების ძეგლები და ნაკრძალები".

კინონარკვევში გადაღებულია საინტერესო ძეგლი — გაქვავებული ტყე, სათაფლიას გამოქვაბული, რიცის ნაკრძალი, ტებერდის ნაკრძალი, წითელი ხის ჭალა და სხვა უაღრესად საინტერესო ბუნებრივი ადგილები. ამ ფილმით მაყურებელი ეცნობა საქართველოს მდიდარ ბუნებას. იგი აგრეთვე გვაცნობს იმ დიდ მეცნიერულ და შემოქმედებითს მუშაობას, რაც ამჟამად წარმოებს იშვიათ მცენარეთა შესასწავლად და შესანარჩუნებლად.

კინონარკვევის რეჟისორებია ვ. ვალიშვილი და შ. მართაშვილი.

თბილისელი სპორტსმენები გორში

24 დეკემბერს ქალაქ გორის სტადიონზე მოეწყო თბილისელ და გორელ სპორტსმენთა საჩვენებელი შეჯიბრება. შეჯიბრების მიზანი იყო მძლეოსნობაში მეთოდური დახმარების გაწევა გორელი სპორტსმენებისათვის.

შეჯიბრების პროგრამაში იყო სასპორტო სიარული, შუბისა და ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, ადგილიდან სამმაგი ხტომა, გამორბენით სიმაღლეზე ხტომა და 1.500 მეტრზე სირბილი.

ბირთვის კვრაში, 1.500 მეტრზე სირბილში და სხვა სახეობებში კარგ შედეგს მიაღწიეს გ. ფეოდოროვმა, ა. დვალიშვილმა, სპორტის ოსტატმა ნ. ხნიკინამ, შ. ტყეშელაშვილმა, მ. ფალიევმა და სხვებმა.



თბილისის ზოოპარკის ცხოველთა სამყაროს ამას წინათ შეემატა მრავალი უცხო ცხოველი. **სურათზე:** სამხრეთ ამერიკიდან ჩამოყვანილი მაიმუნები, რომელთა წონაც, ზრდის დასრულების შემდეგ 100 გრამს არ აღემატება.

ფოტო რ. აკოფოვისა

ახალი მუსიკალური ნაწარმოები

მიმდინარე წელს საქართველოს მუსიკალურმა ფონდმა გამოსცა სხვადასხვა ჟანრის რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები და მუსიკალური კრებული.

საბჭოთა ავტორების საფორტეპიანო ნაწარმოებთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუცემელი იყო; წელს კი გამოიცა ნ. გუდიაშვილის „პრელუდიები", ო. თაქთაქიშვილის „ხუთი სიმღერა ფორტეპიანოსათვის", თ. შავერზაშვილის „საბავშვო პიესების ალბომი", შ. თაქთაქიშვილის „ბავშვთა სამყარო" და სხვ.

საბჭოთა საქართველოს ოცდაათი წლისთავისათვის გამოსაცემად მომზადებულია დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსების და ქართული ხალხური სიმღერების ტექსტებზე დაწერილი მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულები.

ფოთის სახელმწიფო თეატრში

წელს სეზონში ფოთის სახელმწიფო თეატრმა (დირექტორი და მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ამხ. გ. გაბუნია) მაყურებელს უჩვენა სამი პრემიერა: „ჩვენი პირადი საქმე", „მოკვეთილი" და „არშინ მალ ალან". სპექტაკლები დადგეს ახალგაზრდა რეჟისორმა ვ. მჭედლიძემ და მთავარმა რეჟისორმა გ. გაბუნიამ.

ამ დადგმებში როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: თამარ მაკარაშვილი, მერი კანდელაკი, მსახიობები: ი. მიქიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ა. დობორჯგინიძე, გ. ებრალიძე, ვ. სალუქვაძე და სხვები.

თეატრი დასადგმელად ამზადებს მეოთხე პრემიერას — „ფაქიზი განცდები". იგი ნაჩვენები იქნება 1 იანვრისათვის.

ამავე დროს თეატრის მხატვრული ბრიგადა მომსახურებას უწევს ქალაქის უბნებსა და სოფლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება სამინისტროების პირველადი პარტორგანიზაციების შტატგარეშე კონსულტანტების სემინარი.

ლექტორები: დოცენტი **ი. მირცხულავა** და დოცენტი **ი. მაილიანი.**

სასამართლო ქრონიკა

სახელმწიფო ნომრების უქონლად მსუბუქი ავტომანქანის ექსპლოატაციისათვის მძღოლ ოგანეზ მისაკის-ძე კარაპეტიანს თბილისის ბერიას რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ წლინახევრის პატიმრობა მიუსაჯა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

29 დეკემბერს

6.45 — მარშები სიმფონიური ორკესტრისათვის. 8.30 — სიმფონიური მუსიკა. 10.30 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე. ა. ჭავჭავაძის რომანის „ლელოს" — რადიოინსცენირება. 17.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—არიები რუსული ოპერებიდან. 20.45 — ბეთჰოვენის სონატა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. 21.10 — საუბარი: ამერიკის კაპიტალის თავდასხმა ინგლისის პოზიციებზე. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა რ. თაგორის ნოველები. 23.00 — ესტონეთის სახელმწიფო გუნდის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „დუბროვსკი" (1 აბ. პრემიერა); **რუსთაველის სახელობის** — „ოჯახი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მე-12 ღამე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „პატიოსნება" (მე-19 აბ.); **სომხური დრამის** — „სიყვარულის გაზაფხული"; **მუსიკალური კომედიის** — „მეგობრები" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— „ჩვენი ადამიანები" (37-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ესპანელები" (23-ე აბ. 4 საათსა და 30 წუთზე); **ხანკულტურის** — „მეც ვხედავ"; **თოჯინების ქართული** — „თოვლის პაპა" (11, 4 საათზე); **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „სიყვარულის წამალი"; **„ოქტომბერი"** — „ეშმაკების ხეობა"; **„ამირანი"** — „ცამეტნი"; **„თბილისი"** — „მოკრივენი" (დღისით), „დუნაის შვილი" (საღამოს); [illegible]

მოქალაქე **ნადია სტეფანეს ასულმა გლოტოვამ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, № 121, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მირონ ტროფიმის-ძე გლოტოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის პირველი ინსტანცია.

მოქალაქე **ვალერიან იოსების-ძე ლომთა**[illegible]

ყველას შეუძლია მოიგოს 100.000 მანეთი, თუ 1951 წლის 1 იანვრამდე შეიძენს **სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს.**

სახელმწიფო 3%-იან შინაგან მომგებიან სესხზე ყოველწლიურად ეწყობა მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოგებათა მორიგი მეოთხე დამატებითი ტირაჟი შედგება 1951 წლის 30 სექტემბერს ქ. მოსკოვში 23-ე ძირითად ტირაჟთან ერთად.

ძირითად ტირაჟში სასესხო ყოველ თანრიგზე გათამაშდება 4.650.200 მანეთი 8.500 მოგება [illegible] 100.000, 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400 მანეთის [illegible]

[illegible]

მეუღლე ნუნუ, შვილი გენუსი, ძმები სერგო, კოლია, ბენო, რძლები სონია, საშა, მარო შვილებით, და კესა, სიძე ლ. თავართქილაძე, ძმისწული ნორა მეუღლით ამირან ჩიჩუათი იუწყებიან ექიმ **გერმანე ანტონის-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას.

სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „საქკავშენის" ადმინისტრაცია იუწყება **გრიგოლ მიხეილის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას.

სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „საქკავშენის" თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ მიხეილის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას.

ნინო და ირაკლი შენგელიები, ნინო და შალვა ცაგარელი, ძაბული მეუნარგია იუწყებიან სასიძო ექიმ **გერმანე ანტონის-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII მახარა[illegible]

გარეჯნის რაიონული გაზეთის რედაქციისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ვიქტორ ივლიანეს-ძე ჯორბენაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XII, 4 ს. წილკანის, 3.

კესარია, ათანასე, ქეთევან, მარი, მაქსიმე, მიხეილ რამიშვილები შვილებით, ტატიანა და ია ფურცელაძეები იუწყებიან **ოლია ართიმონის ასულ ჩხიკვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII ჩოხატაურში.

ა. ვირსალაძე და ა. თულაშვილი, ე. ექსანიშვილი, ვ. თუმანიშვილი, ქ. თუმანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ანტონ წულუკიძეს მისი მამის **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალების გამო.

ძმა ლუკა ბაქრაძე მეუღლით, და სონა გოცირიძე [illegible]

[illegible]